პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი
ჯარისკაცი

ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ, მასალები მიიღება რედაქციაში 9—3 საათ. ყოველ დღე
რედაქც. მისამართი:
სახ. სამხ კ-ს შენ. პირ. ს რთ.
რუსთაველის პრ. № 31

პარასკ. 22 დეკემბერი
1922 წ.
წელიწადი მეორე

№ 173 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო. № 173

საერთაშორისო მენშევიზმი განაგრძობს მუშათა კლასის მოღალატეობას.

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ხშირათ იბეჭდება დეპეშები ჰაავის საშვიდობო კონგრესის მუშაობის შესახებ. ამ კონგრესზე მონაწილეობას ღებულობდენ ორი და ორნახევარი ინტერნაციონალის, ამსტერდამის პროფინტერნის ბურჟუაზიული პაციფისტების წარმომადგენელნი ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ კომინტერნის და პროფინტერნის წარმომადგენელნი.

უმთავრესი საკითხი რომელიც კონგრესზე იყო გარჩეული, წარმოადგენდა საერთაშორისო მშვიდობიანობის განმტკიცებას.

კომინტერნის წარმომადგენლებმა გარკვევით დაუსვა დანარჩენებს კითხვა- თუ რა ზომებს მიიღებენ ისინი იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიო ბურჟუაზიამ იმპერიალისტური ომი წამოიწყო?

კომუნისტები ასაბუთებენ, რომ ვინაიდან მსოფლიო ბაზარი განაწილებულია ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის და ტეხნიკური განვითარება და ეკონომიური გამდიდრება მათი აუცილებლათ იწვევს დაუსრულებელ იმპერიალისტურ ომებს და ეს კი ნიშნავს მსოფლიო ეკონომიკის, კულტურისა და მშრომელი ხალხის განადგურებას, ამისათვის უნდა მოხდეს მსოფლიო პროლეტარულ ფრონტის გაერთიანება და შეერთებული ძალით წინააღდეგობის გაწევა მომავალ მოახლოებულ იმპერიალისტურ ომისადმი.

ამ წინადადების წინააღმდეგ გაილაშქრეს. მე-2 და 2 ნახ. ინტერნაციონალის წარმომადგენელნი. იმათ სთქვეს, რომ ყველა სახელმწიფოს მუშათა კლასს აქვს ყოველგვარი უფლება დაიცვას თავისი სახელმწიფო თუ მას გარედან დაესხმის ვინმეო. ამას გარდა მათმა წარმომადგენელმა ტომასმა „გამოსთქვა იმედი, რომ არას დროს არ დადგება მომენტი ომის წინააღმდეგ საერთაშორისო მუშათა კლასის საერთო გაფიცვის გამოცხადებისათვისაო".

რას ნიშნავს ეს განცხადება ხალხის დამღუპველ მენშევიკების წარმომადგენლებისა?

ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი კვლავ განაგრძობენ მუშათა კლასის მოღალატეობას, ისინი კვლავ ხელს უწყობენ მსოფლიო ბურჟუაზიას, რომ დაიწყონ მსოფლიო ომი და მას მსხვერპლად შესწირონ მუშათა კლასი.

მუშათა კლასმა იწვნია იმპერიალისტური ომის სიმწვავე თავისი შედეგებით და რამდენიც არ უნდა იმღერონ ტკბილ ხმებზე გამყიდველ მენშევიკებმა, მათ აწი აღარ დაუჯერებენ.

თუ ომი დაიწყო ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მუშათა კლასი სტიქიურად, მათი ხელმძღვანელ გამყიდველ „სოციალისტების" სურვილის გარეშე, გამოაცხადებენ საერთო გაფიცვას, რომელიც შემდეგ აუცილებლათ მათ გადაიყვანს შეტევაზე ბურჟუაზიის რეაქციონურ ბატონობის წინააღმდეგ, შრომის საბოლოო განთავისუფლების მიზნით.

წითელი დროშის დარაჯი

წითელი დროშა—დროშა მშრომელი ხალხის თავისუფლებისა და წითელი ჯარი—მატარებელი მშრომელი ხალხის იდეებისა, არიან რევოლიუციის სრული გამარჯვების გამომხატველი და მისი მტრების, კაპიტალისტების შიშის დამცემნი. მშრომელმა ხალხმა მედგრათ ასწია მაღლა წითელი დროშა და მით ყველასი დასანახავი გახადა თავისი სიძლიერე. მან მის ქვეშ დარაზმა შრომის შვილები, მისცა მათ ცალ ხელში თოფი, მეორე ხელი თითონ მაგრათ დაუჭირა და უთხრა: აი დროშა—თავისუფლებისა, რომლისთვისაც მშრომელი ხალხი ათეულ და ასეულ წლობით ღვრიდა თავის უმანკო სისხლს, დაიცავით ეს, კაპიტალისტების ბრჭყალებიდან და მით, არამც თუ ჩვენ, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელ ხალხს შემატებთ შვებას და ლხენას. ვფიცავთ, რომ დავიცავთ მედგრათ, შესძახეს მათ და თავისი ძლიერი ხელი ჩასჭიდეს წითელ დროშას. წითელი ჯარი შეუდგა მის დაცვას. პირველ ყოვლისა მათ საჭიროდ დაინახეს აეხსნათ და განემარტათ თავის რიგებში მყოფ მოძმეებისათვის ამ დროშის მნიშვნელობა მშრომელ ხალხისათვის. ამ მიზნით გახსნეს ყაზარმაში ბიბლიოთეკები, კლუბები და წერა-კითხვის უცოდინართათვის სკოლები.

ვინც წერა კითხვა არ იცოდა მას ასწავლიდენ, ვინც იცოდა, მიყავდათ ბიბლიოთეკაში, კლუბში, აწვდიდენ საჭირო წიგნებს, ან და ამა თუ იმ კლუბის წრეში მუშაობით, ანვითარებდენ მას გონებრივად. მაგრამ ბრძოლისათვის ყოველ მხრივ გაწვრთნილ მეომრებს სცოდნიან ახლები, რადგან საჭიროა იმათმაც მოემზადონ მტერთან საბრძოლველათ. ამისათვის წითელი ჯარის ხელმძღვანელების წინაშე სდგება ახალი ამოცანები, რომლებიც ისევე პირნათლად უნდა შეასრულონ, როგორც ამას ასრულებდენ წინეთ. დღეს კი, უმთავრესი ამოცანა, რომელიც ძლიერ სიჩქარით გადაჭრას საჭიროებს არის წერა კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციის მოხდენა 23 თებერვლისათვის 1923 წელ. 23 თებერვალს ხუთი წლის წითელი ჯარის არსებობისა. ამ ხუთი წლის განმავლობაში ის ყოველთვის პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას წითელი დროშის დაცვაში და აგრეთვე არ ივიწყებდა, რომ ის მაგალითის მაჩვენებელი უნდა იქმნეს მთელს მსოფლიოზე.

დღეს, ჩვენში არ უნდა იყოს არც ერთი, წერა კითხვის უცოდინარი, რაიც თავდები იქნება ჩვენი ჯარის ძლიერებისა და რომელიც პირნათლად შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და შესძლებს წითელი დროშის აფრიალებას დედამიწის ყოველ კუთხეში.

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ფედირატიულ კავშირს და მის განმახორციელებელ შეგნებულ წითელ ჯარს!

ნაგრი.

რაზე სწერენ გაზეთები

აირია მონასტერიო—იტყვის კაცი პოლონეთის საშინაო მდგომარეობაზე, ეროვნულ უმცირესობათა მიერ არჩეული პრეზიდენტი ნარუტოვიჩი მოჰკლეს რეაქციონერებმა, რომელთაც აქვთ შანსები, რომ ბოლოს და ბოლოს მოახდინონ გავლენას და გაიმარჯვებენ.

„სავულისხმოა მათ მიერ წამოყენებული ლოზუნგები: „გაუმარჯოს მუსოლინს", „გაუმარჯოს გენ. გალერს" მუსოლინის მაგალითი მოსვენებას არ აძლევს ევროპის რეაქციონურ ჯგუფებს და აქეზებს მათ ფაშისტურ გადატრიალებისათვის".

ასე სწერს გაზ. „კომუნისტი" და დასძენს, რომ მართალია ევროპის რეაქციონერებისათვის საჭიროა რუსეთის მეზობლათ, რომ შეიქნეს საშიში (რევოლიუციისათვის) სახელმწიფო და პოლონეთშიც მოხდეს ფაშიზმის გამეფება, მაგრამ არც პოლონეთის და არც მსოფლიო მუშათა-კლასი ამის ნებას არ დართავს.

დღეს საშინლათ აღელვებს ჩვენ ხალხს ფულის კურსის დაუსრულებელი დაცემა და ამით სარგებლობენ რა, საბჭოთა რესპუბლიკის მტრები, არწმუნებენ ხალხს, რომ განზრახული ფულის საერთო ნიშნის გამოცემით, სიძვირე კიდევ უფრო გაიზრდება და ცხოვრება ერთობ გაჭირდებაო. გაზ. „იზვესტიას" თანამშრომელთან საუბრის დროს ფინ. სახ. კომისარმა ამხ. სოკოლნიკოვმა განაცხადა:

„წინააღმდეგ ყველა პესიმისტების რწმენისა, რომ ფულის ნიშნების ფასი დაეცემოდა უფრო ოქტომბერთან შედარებით ნოემბერში, მივიღეთ სულ სხვა შედეგი. კურსის დაცემა შეჩერდა მთელ ნახევარჯერ. ამ შედარებითი მშვიდობიანობას ჩვენ მივაღწიეთ პურის ფასების სტაბილიზაციით".

მაშ ესე: არავის არა აქვს საფუძველი იფიქროს, რომ მომავალში კატასტროფა გველის და ჩვენი წითელი არმიელებიც შეგნებულნი იქნებიან, რომ არ აყვენ ყოველი ჯარის პროვოკატორების გულის გატეხას.



— იტალიის მთავრობა სცდილობს გააერთიანოს იტალიის ყველა პროფკავშირები ერთ მთლიან კავშირში.

— გერმანიაში დაარსდა ახალი მონარქისტული პარტია.

— ინგლისის მეფემ უარი სთქვა უმუშევართა წარმომადგენლების მიღებაზე.

— კრაკოვის მუშებმა მოაწყვეს პოლონეთის პრეზიდენტის ნარუტოვიჩის მოკვლის გამო საპროტესტო მიტინგი, რომელსაც დაესწრო მრავალი ათასი მუშა.

— ვარშავის ზოგიერთი გაზეთები იუწყებიან თითქოს ებრაელებს გადაეწყვიტოს მომავალ პოლონეთის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობისაგან თავი შეაკავონ.

— ანგორის მთავრობა უკმაყოფილოა ლოზანის კონფერენციის მუშაობის გაჭიანურებით.

პოლონეთის ამბევი.

— ვარშავიდან იუწყებიან: დაჭერილია ბევრი ახალგაზდობის სახალხო-დემოკრატიული პარტიის წევრები.

— გაზ. „მუშა" სწერს: მთავრობამ უნდა მიიღოს გადამწყვეტი ზომები რეაქციის წინააღმდეგ, უამისოთ პოლონეთს მოელის კატასტროფა.

— „გაზეტა ვარშავსკა" იუწყება თითქოს ებრაელებს გადაეწყვიტოს თავი შეიკავონ პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობისაგან.

— როცა ნარუტოვიჩის მოკვლის შესახებ მიიღეს ცნობა, კრაკოვის მუშებმა მოაწყვეს მიტინგი, რომელზედაც დაესწრო რამდენიმე ათასი მუშა. სეიმის დეპუტატმა ბარბოვსკიმ, რომელიც გამოვიდა მიტინგზე განაცხადა, რომ პილსუდსკი დანიშნულია სამხედრო დიქტატორად და. რომ ის დაიცავს კონსტიტუციას. ორატორმა დაარიგა მუშები მშვიდობიანად დაშლილიყვნენ. მაგრამ მუშებმა არ გაიგონეს დეპუტატის დარიგება და გაემართნენ პროფკავშირების ბინისაკენ.. მათ თავს დაესხათ პოლიციის რაზმი ამოღებულ ხმლებით. შეტაკების დროს დაიჭრა 5 კაცი მათ შორის 1 ქალი.

ლოზანის კონფერენცია.

— ლოზანიდან მიღებულ ცნობების მიხედვით კონფერენციის პირველი კომისია უკვე შეუდგა სრუტეების შესახებ საკითხის განხილვას.

— 18 დეკემბერს კერზონს ჰქონდა ჩიჩერინთან კერძო თათბირი.

— ინგლისის პრესა ფიქრობს, რომ ოსმალები მოსულის საკითხში ბოლოს და ბოლოს წავლენ დათმობაზე, მოკავშირეთა ზედგავლენით და იმ ხმების გამო, რომელიც გავრცელებულია, თითქოს ინგლისი თანახმა იყოს მისცეს ოსმალეთს სესხი.

— სტამბოლიდან მიღებულ ცნობით ანგორის მთავრობა უკმაყოფილოა კონფერენციის მუშაობის გაჭიანურებით.

— სრუტეების კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა შენიშვნები ოსმალეთის დელეგაციისა, მოკავშირეების შეცვლილ პროექტის შესახებ.

— ოსმალეთის დელეგაციის გამოსვლის შემდეგ კონტრ-წინადადებებით სრუტეების საკითხის შესახებ, გამოვიდა რუსეთის დელეგაცია.

სხვა და სხვა ამბები

საქართველო.

ბათომი.

— ბათომის და მისი რაიონების მცხოვრებთა აღწერა დამთავრდა.

— ბოტანიკურ ბაღში იხსნება, როგორც ბავშთათვის ისე მოზრდილთათვის წერა კითხვის უცოდინარების სალიკვიდაციო სკოლა.

აფხაზეთი.

დახმარება წით. არმიელებს.

— აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭომ სოხუმის პოლკის წითელ არმიელებს გადასცა 900 საბანი, ბალიშის პირები, ზეწრები. და სხვა.

რუსეთი.

წითელი არმიის ხუთი წლის თავის გამო.

— წითელი არმიის მომავალი ხუთი წლის თავის დღესასწაულისათვის განზრახულია ადგილობრივ საბჭოების საზეიმო სხდომების მოწყობა.

იტალია.

იტალიის პროფკავშირებში.

— იტალიის მთავრობა სცდილობს გააერთიანოს ყველა იტალიის პროფკავშირები ერთ მთლიან კავშირში. ამ მიზნით მუსოლინს თათბირი ჰქონდა სოციალ-დემოკრატ დეპუტატებთან, რომლებმაც თავისი მხრით გამართეს მოლაპარაკება ფაშისტების პროფკავშირების მდივან როსსონთან. განზრახულია მოიწვიონ საერთო კონფერენცია საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად.



ჩვენ ვშრომობთ.

ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლას ბილო ბჯარით ხელყის მასალის გადმოზიდვა, დიდუბიდან ვარანცოვის ხიდამდის, რომლიც მილიონ მანეთით (40,000,000 მ.ნ.) ამ ფულიდან, ამავ სკოლის საჭირო ასეულს დაგვრჩა ნ ოც მილიონ მანეთის (20,000,000) მოცემას. რომლითაც ასეულმა უნდა გააუმჯობესოს წითელ არმიელების ცხოვრება. სხვათა შორის ამ მუშაობაზე დიდი ენერგია გამოიჩინა სკოლის მნემ ამხ. მაჭავარიანმა, და დიდი ჯაფა გადიტანა ამავე ასეულის უფროსთა შემადგენლობამ და წითელარმიელებმა და თუ კიდევ ასეთი სამუშაო შეგვხვდა უარს არ ვიტყვით, ვიშრომებთ, რათა ჩვენი ცხოვრება გავაუმჯობესოთ. —

ჟუდეკსი.

რატომ ხდება ასე?

ა. წ. 2 დეკემბერს საინჟინერო ათასეულის გარდაიცვ. წით. ლაშქრელი ლავრენტი იოსების ძე ძნელაძე. ს წ. ლ. დღიდან გამოწვევისა სამსახურში, მსახურობდა ამ ათასეულში მტკიცედ და ერთგულად. როდესაც ამხანაგი ძნელაძე გარდაიცვალა, მოვიდა რა ცნობა ათასეულში საავადმყოფოდან, ჩვენმა უფ. შემადგენლობამ არავითარი ზომები არ იხმარეს იმის გასვენების და დასაფლავების შესახებ. დასაფლავებას თვ [illegible], თავის დროზე ცნობაც არ გაუგზავნიათ მიცვალებულის ცოლშვილისათვის და მშობლებისთვის, რომ გაეგოთ ჭირისუფლებს ამხანაგ ძნელაძე გარდაცვლილი იყო თუ არა, მე ვერ გამიგია რაში იყო საქმე, ეს წ. ლ. ძნელაძის თუ ერთგულად მსახურობდა ჩვენს რიგებში და კიდევაც გვსურდა ემსახურნა, რატომ როდესაც გარდაიცვალა მაშინ არ მიიღეს ზომები უფ. შემადგენლობამ და არ დაასაფლავეს როგორც შეშვენოდა წით. ლაშქრელს? ა ეთი მოვლენა ძლიერ სირცხვილია ჩვენ წით. ჯარებში, და არც უნდა ექნეს ადგილი.

ცალკე მესან. ას. სამ. ი. გაფ-ლი

ამხანაგებო

მოუაროთ ჩვენს უენო მეგობრებს ჩვენს ცხენებს!

არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის სინამდვილე, რომ ჩვენ, ქართველ წითელ არმიელებს, სამწუხაროთ, ცხენების მოვლა არ გვიყვარს. და ამით ხელს უწყობთ როგორც თვით ცხენებზე ქეცის გაჩენას, მათ დაავადმყოფება-დახოცვას, აგრეთვე ამ ცხენებიდან ქეცის წითელ-არმიელებზე გადადებას. ქეცი უჩნდება ცხენებს გაუწმენდლობისაგან და ამ გაუწმენდლობის მოსპობა თვე უნდა მოხდეს მასი ჩვენს სამხედრო ნაწილებში ძირიან ფესვიანად ამოფხვრა.

კვირას, 17 დეკემბერს, ქართულ სამხედრო სკოლაში ექიმ-ვეტერ ნარ ამხ. ფარეიშვილის ინიციატივით მოხდა სკოლის ცხენების მთელი შემადგენლობის სამაგალითო გაწმენდის კვირაობა. კურსანტებმა და წითელ-არმიელებმა უფროსების თანდასწრებით და ხელმძღვანელობით იდეალურათ, ე. ი. საუკეთესოთ, გასწმინდეს ამ დღეს სკოლის ყველა ცხენები და უნდა ვიცოდეთ, რომ, თუ სკოლის და ქართულ სამხედრო ნაწილების ყველა ცხენებს ყოველ დღე ასეთი გაწმენდა ექნებათ, სულ მოკლე ხანში არც სკოლაში და არც ჯარის ნაწილებში ქეცს ადგილი აღარ ექნება, და როგორც ჩვენს წითელ ჯარს, ისე ჩვენს მუშებს და გლეხებს, შევინახებთ უდროოთ სიკვდილისაგან, განსაკუთრებით ეხლა ძვირათ ღირებული და უსაჭიროესი მათი მეგობარი, არა ერთი და ორი ცხენი.

სასურველია სხვა ნაწილებშიდაც ხშირი მოწყობა ასეთი კვირაობებისა და მით თვით წითელ-არმიელების მიერ ფეხის ადგმა, მათი უენო მეგობრების ისეთ დაუძინებელ მტერისა, როგორიც არის ჩვენი დაუდევრობის გამო ბოლო მოუღებელი ქეცი, ჩვენს წითელ-ლაშქარში.

წითელ-არმიელი X.

სკოლისაკენ.

სკოლისაკენ მიდის, წიგნით
ჩვენი ჯარი,
რათა, სწავლით. ბნელს დაუსკას
გულზე ჯავრი.

ამხანაგ ტროცკის ბრძანებას
ის ასრულებს;
ომ თვის შემდეგ თავზარს დასცემს
ის [illegible].

ჩვენს ლაშქარში, ყველა უნდა
მოელოდე.
თბილ ალში, [illegible] აქამდის
არ ენლოდეს.

მაშ, წინ გასწით სწავლისაკენ,
წითელ წიგნით,
გაამაგრეთ სწავლით ფრონტი
გარედ, — შიგნით.

დაშნა.



საბჭოთა რუსეთი და „მცირე ანტანტა“

მოსკ. განიარაღებაზე ხელი მოსაწერია.
მც. ანტ. აი ჩემი კალამი
უკვე ხელთ მიჭირია,
მელნად მოვიხმარ შენ სისხლს
ვგონებ არაფერია?!

მოსკ. მაშ მე ბიჭი არ ვიყო
თუ შენ არ აგატირე
და საფლავის კარებთან
მალე არ აგაყვირე!!!

კულტურული მუშაობა

ჩვენც გვაქვს საკუთარი კლუბი

ცხენოსან ლეგიონს არ ჰქონია საკუთარი კლუბი.

ერთი კვირის უკან შეუდგა კლუბის მოწყობას ამხ. ბრეგვაძის მეთაურობით მთელი კომუჯრიდის შემადგენლობა. დიდის გულმოდგინეთ მუშაობით და ყველა ამხანაგების დახმარებით ჩვენ ავაშენეთ კლუბი. დღეს გვაქვს საკუთარი კლუბი და აღარ გვჭირია ძებნა ხან ერთ რაიონში და ხან მეორეში შენობის.

ჩვენც არ შეგვიძლია არ მივაქციოთ ყურადღება და პირველ ნაბიჯს ჩვენს ლეგიონში ამხ. ბრეგვაძისას არ მივესალმოთ და შემდეგისათვის არ ვუსურვოთ უფრო კიდევ მეტი ენერგიის გამოჩენა

სამკორი: ფანცულაია.

კულტობა ჩვენ ჯარში

1922 წლის დეკემბრის 19 ცენტრალურ წითელ არმიელთა კლუბში გაიმართა საღამო. საღამოს ლოზუნგი იყო „ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა“. კლუბის კედლები შესაფერისი წარწერებით და პლაკატებით იყო მორთული. 8 საათისათვის დარბაზი სავსე იყო წითელ არმიელებით, უკრავდა ორკესტრი. იხდება ფარდა, სიტყვას წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ, წითელ ჯარში ამბობს ამხ. ნადირაძე ის ყურადღება რომლითაც წითელ არმიელნი უსმენდნენ მომხსენებელს და საერთოდ ინტერესი, რომლითაც ისინი მოეპყრნენ მთელ საღამოს, მაჩვენებელია იმისა, რომ წითელ არმიელნი მარჯვედ ჩაებენ კულტურულ მუშაობაში.

არ ამართლებენ წითელ არმიელს, რომელიც არ დაიარება სკოლაში, არ დაიარებოდა არც კრებებზე, არც წარმოდგენებზე. მთელი რიგი მოწმებისა ადასტურებენ ამ წამოყენებულ ბრალდებებს მხოლოდ ყოფილი თავადი და მიკიტანი იცავენ მას: „თუ სწავლა არ ჰქონია ჩვენ მამაპაპებს, ვერ უცხოვრიათ ადამიანურად ო“.

სასამართლომ დაადგინა: „წითელ არმიელნი გადაყვანილ იქმნეს უცოდინართა გუნდში, სამსახურის ვადა გაუგრძელდეს, მანამდის სანამ ის არ შეისწავლის წერა-კითხვას“. დამსწრენი ტაშით ხვდება ამ დადგენილებას.

მიდის ინსცენიროვკა „სოფლად“ გლეხ ვანოს, არ უნდა წასვლა ჯარში სამსახურის მოსახდელათ, მაგრამ, როცა ჯარიდან დაბრუნებული ძმა უამბობს „წითელ“ ყაზარმის ცხოვრებას, ვანო ფიცს აძლევს ძმას რომ ის იქნება პატიოსანი წითელ არმიელი მშრომელთა სადარაჯოზედ. ინსცენიროვკა დამთავრდა სურათით: შუაში ახლად დაბრუნებული წით. არმიელი, უკითხავს გაზეთს მის გარშემო მოგროვილ სოფლელებს.

საღამოს დაესწრო ხუთასზე მეტი წითელი არმიელი და დამთავრდა 11 ს.

ზ. ხუციშვილი.

საუბარი

ქართულ მსროლელ დივიზიის სამხკომის და დივ. პოლიტგანის უფროსთან ამხ. თ. ღლენტთან

რა მიზანი გქონდათ გამგზავრებისას?

ჩემი მიზანი იყო დამეთვალიერებინა ქ. ქუთაისში და ბათუმში მდგომი ქართულ დივიზიის ნაწილები და გამომერკვია უშუალოდ წითელ არმიელებისაგან მათი მდგომარეობა.

ქ. ბათუმში.

ქ. ბათუმში მდგომი ნაწილები საერთოდ დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას ახდენენ.

მათი კულტურული მხარე როგორია საერთოდ და კერძოთ კი სწავლა-განათლების საქმე.

სწავლა-განათლების საქმე ვერ არის სასურველად დაყენებული მიუხედავად იმისა, რომ ქართველი წითელ არმიელები დიდის აღფრთოვანებით ეკიდებიან სწავლაგანათლებას ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ მატერიალურ დაბრკოლებაში, მაგრამ მაინც აღსანიშნავია ის ენერგიული მუშაობა, რომელიც სწარმოებს სწავლა-განათლების დარგში.

კლუბებში.

საკლუბო მუშაობა მიუხედავად ათასგვარ დაბრკოლებებისა, რომელთა შორის უმთავრესად უნდა ჩაითვალოს შტატების შემოკლება და სახსრის უქონლობა, მაინც ენერგიულად და სისტემატიურად სწარმოებს [illegible]ობრივ მდგომ ლეგიონის ლიტკოლეგია უშვებს ყოველ კვირეულ ხელნაწერ კედლის გაზეთს, რომელიც მოიკრებს შრიფტის სიპატარავით, თორემ დანარჩენი მხრივ გაზეთი ამართლებს თავის დანიშნულებას. თუმც არა სისტემატიურად მაგრამ წარმოდგენები, მაინც იმართება ადგილობრივ დრამატიულ წრის მიერ.

როგორ პირობებში არიან მატერიალური მხრივ.

ჩემს და ამხ. ლექვთაძის მიერ დაკითხულ იქნა ბევრი წითელ არმიელები რომელთა პასუხი გამოხატავდა შემდეგს:

— „ჩვენ კმაყოფილი ვართ, რომ ვიმყოფებით წითელ ჯარის რიგებში და მით გვიხდება დაცვა ჩვენი — მუშურ-გლეხურ მთავრობის. აქ ჩვენ შევიძინეთ ყველასათვის აუცილებელი წერა-კითხვის ცოდნა გავიგეთ თუ რა ვართ ჩვენ რათ გვინდა თოფი, რომელიც ჩავიბარეთ.

— „ჩვენ გავიგეთ რომ ჩვენ დაბადებულნი 1900 წელში ვთავისუფლდებით. ჩვენ მივდივართ წითელ ჯარის რიგებიდან, რათა ცოტა შევისვენოთ, ოჯახს მივხედოთ და პირველ საბჭოთა ხელისუფლების დაძახებისთანავე შევიარაღდებით. მხოლოდ ჩვენ გულითად წყრომას ვუცხადებთ დეზერტირებს, რომლებიც მთავრობამ შეიბრალა რამოდენიმეჯერ და ვთხოვთ მთავრობას, რომ შესწყვიტოს მათ მიმართ ყოველგვარი დადგენილებების გამოშვება, რომელთა ძალით ისინი ჯარში მოსვლისთანავე, თავისუფლდებიან სასჯელისაგან, გამოაცხადოს ისინი ყოვლგვარ კანონ გარეშე და ჩვენ, მზათა ვართ დაეცემ რომ ასეთ მოღალატეების რესპუბლიკაში სადაც არ უნდა ვიყოთ, აქ თუ შინ“.

ქ. ქუთაისში.

ქ. ქუთაისში მდგომ ქართულ დივიზიის ნაწილებში, აღსანიშნავია მათი კულტურული მუშაობა.

როგორ მდგომარეობაშია სწავლა-განათლების საქმე?

აქ სწავლა განათლების საქმე გაცილებით უკეთესად არის დაყენებული ვიდრე ბათუმში. წითელ არმიელებს დიდი სურვილი აქვთ წერა-კითხვის სწავლისა, რაც გამოიხატება იმაში, რომ მოსწავლე წითელ არმიელები იხელთებენ თუ არა თავისუფალ დროს, მაშინვე შეჯგუფდებიან და მეცადინეობენ.

როგორი მუშაობაა კლუბებში?

კლუბებში მუშაობა სისტემატიურად წარმოებს მიუხედავად იმისა, რომ წრეთა ხელმძღვანელების შტატები შემცირებულია ძალზე.

თვალსაჩინო მუშაობას ეწევა დრამატიული წრე, რომელიც სისტემატიურად მართავს წარმოდგენებს.

როგორია მატერიალური მხარე ნაწილებისა?

ჩემ მიერ დაკითხულ წითელ არმიელებმა განაცხადეს, რომ ისინი კმაყოფილი არიან თავიანთი მდგომარეობით.

ა—.



ლოზანაში.

„მოკავშირეებმა სცადეს
მიემხროთ ისმეტ-ფაშა“.
გაზეთებიდან.

„ანტანტამ“ იწყო ფანდი...
(სხვა და სხვა დაპირება)
ოსმალთ დელეგაციის
თვისკენ გადაბირება.

და იქ აამუშავეს
ბევრნაირი ძალები.
საბჭოთ დელეგაციას
შემოარტყეს რკალები.

მაგრამ ჩვენები მედგრად
პოზიციებს იცავენ.
ახლოა ის დრო, ოდეს
ჩვენს უფლებას იწამენ.

იქ მარტო არ არიან.
მათკენაა მუშები.
საბჭოთ ძალა-უფლების
სასო — დამაშუშები.

უნდათ, რომ ჩვენ ქვეყანას
სისხლით შემოესიონ,
და დაკარგულ გავლენის
კვლავ აღდგენა ეძიონ.

ძნელია ეხლა, უკვე
მათგან ჩვენი მონება.
ავაფეთქებთ ისე, რომ
არ დარჩეს მოგონება!..

დაშნა.